



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
 № 20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია

**განკარგულება N071/2020**

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით II ტურისთვის N12 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის NN12.20.25. 12.20.86.12.20.87. 12.20.88. 12.20.90 საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. რუსთავი

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის “21-ე მუხლის „ო“ პუნქტის, 76<sup>1</sup>-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის N16/2020 დადგენილებებისა და 2020 წლის 10 ივლისის N52/2020 განკარგულების საფუძველზე, N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით II ტურისთვის N12 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის NN12.20.25. 12.20.86. 12.20.87. 12.20.88. 12.20.90 საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი

**მუხლი 2.**

- საბუთები მიიღება N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მის: რუსთავი, ფიროსმანის ქ. N19) როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული ფოსტით ((ელ.ფოსტა: 20\_rustavi@cec.gov.ge) 2020 წლის 16 ნოემბერს 10<sup>00</sup> საათიდან 18<sup>00</sup> საათამდე;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი კონკურსში მონაწილეად ჩაითვლება კომისიაში საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაციის შემდეგ.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N138) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში;

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

გაგა აფციაური

ხათუნა გოშაძე

